საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მელანია (ნამდვ. გვარი ნათიძე) ნიკოლოზ გიორგის ძე

მელანია (ნამდვ. გვარი ნათიძე) ნიკოლოზ გიორგის ძე (15. VIII. 1853, სოფ. ჩალაუბანი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 9. II. 1921, თბილისი). დაკრძალულია იმავე მუნიციპალიტეტის სოფ. მელაანში), მწერალი. 1873 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია. ერთხანს სოფ. ვეჯინში მასწავლებლობდა. ჟურნალ-გაზეთებში იმდროინდელი წყობილების მამხილებელ წერილებს აქვეყნებდა, რის გამოც დევნიდნენ. 1885 მღვდლად ეკურთხა. თავდაპირველად გაამწესეს ოლთისში, 1892-იდან კი - გორში. 1904-იდან თბილისში ცხოვრობდა.

მ-ს პირველი კორესპონდენციები 1882 გამოქვეყნდა, პირველი მოთხრობა „ბნელო“ – 1888 (გაზ. „ივერია“). მის თხზულებებში ასახულია გლეხთა უმწეო მდგომარეობა და ჩარჩ-ვაჭრების მიერ სოფლის მოსახლეობის ექსპლუატაცია (`ბნელო“, „ქედნის ღუღუნი“, 1904). მოთხრობებში „მამა ქრისტეფორე“ (1903) და „პრიგავარას მღვდელი“ (1908–09) მძაფრად არის გაკრიტიკებული იმდროინდელი სას. წოდება.

თხზ.: ბნელო, თბ., 1951; ქედნის ღუღუნი, თბ., 1965.